ოთხშაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 11 (24) № 223
წელიწადი მესამე

ოთხშაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 11 (24) № 223
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15╳2=8 მანეთი, 20╳2=10 მანეთი, 30╳2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გაზეთის შინაარსი

ცნობებიდან

გერმანელებმა ეხტლიანდიის ნაპირებზე ჯარი გადასხეს. დაპყრობილ რუმინეთის მოსავალი გერმანეთში გაზიდეს.—გერმანელები ქლოროფორმიან ყუმბარებს ხმარობენ.—ვილჰელმი კონსტანტინოპოლშია.—შეერთებული შტატები საფრანგეთს გემებით ეხმარებიან.—გერმანელთა კრეისერებმა დაჰღუპეს ინგლისელების 2 ნაღმოსანი და 9 სხვა გემი.—პენლევემ განაცხადა: „საფრანგეთის ომის მიზნები—მის უფლებათა აღდგენა არის“.—ო.—ყუბანის სამხედრო რადამ სამხრეთ-აღმოსავლეთის ერთა კავშირის დაარსება გადასწყვიტა.

წერილებიდან

მეთაური. ზავის საკითხი.

დ. კასრაძე. „რაინდი უშიშარი“ (ი. წერეთლის ლექციაზე).

რედაქტორთა მოწოდება: პრესის თავისუფლებისათვის.

ვლ. მაჭარაშვილი. ქართველთა და მაჰმადიანთა ურთიერთობა.

ზ. ბ—ლი. ქუთაისის დარბევის გამო.

კორესპონდენცია სიღნაღიდან.

თბილისის ქალაქის საბჭოს სხდომის ანგარიში.

ჩვენი მენშევიკები და ბოლშევიკები.

ეროვნულ-დემოკრატ. სტუდენტთა და მოწაფეთა გუნდი მცხეთობას.

ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს დილის 11 საათისთვის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის მიერ ქ. თბილისში მოწვეულია

სასწრაფო თათბირი

მთავარ კომიტეტის და პროვინციის კომიტეტთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

თათბირის საგანია:

1) დამფუძნებელი კრების არჩევნები.
2) პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა.
3) საორგანიზაციო საკითხები.

თათბირზე დასასწრებლად დელეგატების არჩევა უნდა მოხდეს შემდეგის წესით: ქალაქები: ქუთაისი, ბაქო და ბათუმის კომიტეტები ჰგზავნიან სამ-სამს წარმომადგენელს. სამაზრო კომიტეტები—ორ-ორს, და სხვა დაბა-ქალაქები და სარაიონო კომიტეტები—თითოს. —795—

ქართული კლუბი

წარმოდგენა № 6.

ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს 1917 წ.

თბილისის ქართ. დრამ. დასის მსახ. მიერ წარმოდგენილი იქნება

ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომ. 5 მოქ. შექსპირისა, თარგ. ა. მესხისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე ტ., ქიქოძე ან. ვ-ნნი: ეგნატაშვილი ჯ., გვარამაძე ნ., ხარლამაშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., კობახიძე ი., მეტრეველი ვ., ყვარლიძე ს., შალიკაშვილი ვ. რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. 2—826—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროს განმგეობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თბილისის

პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრთა ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ლერმონტოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. უფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

მოუწოდებს წევრებს მობრძანდნენ ოთხშაბათს 11 ამ თვეს საღამოს რვა საათზე ქართულ გიმნაზიის შენობაში

შალვა ქარუმიძის

მოხსენებაზე დასასწრებლად.

1. სოციალიზმი და სოციალური რეფორმები.
2. დღევანდელი მომენტი და თავდაცვის საკითხი.

დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ პარტიულ წევრებს. 2—2

ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა

ყრილობა

იწყება 1917 წლის 15 ოქტომბერს

პროგრამა ყრილობისა:

1) მიმდინარე მომენტი (მოხს. ნ. ი. ამირაღოვისა).
2) შექმნა ვაჭარ-მრეწველთა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციისა (მოხს. ე. ე. ხანდანოვისა).
3) მომზადება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის (მოხს. ე. ე. ხანდანოვისა).
4) დაარსება ბეჭდვითი ორგანოსი (მომხს. მ. ი. ბერბერიანი).
5) ამიერ-კავკასიის საეკონომიო მდგომარეობა: ვაჭრობის მდგომარეობა, მრეწველობისა, სასურსათო საქმე, ტრანსპორტი, საერთაშორისო ვაჭრობა (მოხს. ქ. ეერამიშევისა და მ. ბერბერიანისა).
6) ზოგიერთ სავაჭროების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები (მოხს. ზ. კაჭკაჭოვისა).
7) მზადება დემობილიზაციისთვის (მოხს. გ. მელიქ-კარაკოზოვისა და ა. ხოშიაგოვისა).
8) მოხსენება ადგილებიდან.
9) მიმდინარე საკითხები.

ვაჭარ-მრეწველთა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტი, რომელმაც ითავა ყრილობის მოწვევა, სთხოვს საგუბერნიო და სამაზრო ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტებს, საბირჟო კომიტეტებს, მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოებებს, ვაჭართა კავშირებს, ხელოსანთა სამმართველოებს და ვაჭარ-მრეწველთა საზოგადო კრებებს, ნუ დაუცდიან განსაკუთრებულ მოწვევას და გამოჰგზავნონ წარმომადგენლები. დელეგატებს შესავლელი ბილეთი მიეცემათ ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტის ბინაზე (პუშკინის ქ. ადრესი დეპეშისათვის: „Торгово-промышленный“. 10—792—5

ე ქ ი მ ი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41 თ—719—29

ე ქ ი მ ი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77. თ—6

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობების მიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—13

გორის სასულიერო სასწავლებლის

გამგეობა

მოიწვევს მასწავლებლით:

ქართული ენისა, ანგარიშ-გეოგრაფია-ბუნების მეტყველებისა და ლათინური ენისას. მსურველთ თხოვნები დოკუმენტებით უნდა შემოიტანონ სასწავლებლის მმართველობაში 10 ნოემბრამდის 3—824—3

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს სად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი). 34—748—თ.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ვაზამწავთ (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116 (თ—703—36)

კბილის ექიმმა

მამულაიშვილი-ხონდნევისამ

გ ა ნ ა ა ხ ლ ა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22. 25—823—2

თბილისი, ღვინობისთვის 11.

ზავის საკითხი და რუსის დემოკრატია

გენერალი ალექსეევი აღარ წავიდა პარიზის კონფერენციაზე დასასწრებლად, მის მაგიერ წავიდა სოციალ-დემოკრატი სკობელევი. შრომის ყოფილს მინისტრს კი შტაბის ყოფილი უფროსის წინაშე ის საეჭვო უპირატესობა აქვს, რომ კატეგორიულად ეწინააღმდეგება იდუმალ დიპლომატიას. ის არ იზიარებს ტალეირანის ცნობილ მაქსიმას: ენა იმისთვის მაქვს, რომ აზრები დავმალოვო; პირიქით საჭიროთ და შესაძლებლად სცნობს ამ თავითვე მთელს ქვეყანას ამცნოს თავისი ძრახვანი.

სკობელევი პარიზის კონფერენციაზე რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიის მიერ არის გაგზავნილი და მისი სიტყვა კოლექტიური ნებისყოფის გამოხატულება იქნება. მას თან მიაქვს დეპუტატთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შემუშავებული ნაკაზი. ტელეგრაფმა გადმოგვცა კიდეც ამ ნაკაზის შინაარსი. საყურადღებოა, რომ ეს შინაარსი საერთოდ ეთანხმება სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გამოცხადებულ მანიფესტს.

ორივე დოკუმენტი სავსეა იმ კეთილი განზრახვებით, როგორითაც ანდაზის მიხედვით ჯოჯოხეთია მოკირწყლული. უნდა დამყარდეს უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. საიდუმლო დიპლომატია უნდა გაუქმდეს, სახელმწიფოებმა იარაღი უნდა აიყარონ და სახალხო მილიციის სისტემა შემოიღონ. ყოველივე უთანხმოება მომავალში საერთაშორისო არბიტრაჟის შემწეობით უნდა სწყდებოდეს და სხ. ეს სიტყვები ხშირად გვსმენია რევოლუციური დემოკრატიის წარმომადგენლებისაგან, მათზე შეჩერებას აღარ აქვს დიდი აზრი. უფრო საყურადღებოა ზავის კონკრეტული პირობები, რაიცა დაწვრილებით არის აღნიშნული როგორც სკობელევის ნაკაზსა, ისე სტოკჰოლმის კომიტეტის მანიფესტში.

ძირითადი დებულებანი ერთნაირია, მხოლოდ ნაკაზში უფრო დაცულია რუსეთისა და მისი მოკავშირეების სახელმწიფოებრივი ინტერესები. სტოკჰოლმის მანიფესტი საზოგადო ფორმულით უარჰყოფს დაპყრობილი ტერიტორიის ძალმომრეობით შემოერთებას და მხოლოდ ბელგიის, სერბიის, მთაშავეთისა, ოსმალური სომხეთის და პოლონეთის აღდგენას ითხოვს განსაკუთრებით. ელზას-ლორენისა, შლეზვიგისა, ავსტრიის იტალიური პროვინციებისა და სხვა პატარა ერების საკითხის გადაჭრას სამერმისოდ სდებს, ანუ უკეთ ვსთქვათ სრულიად აფუჩეჩებს. ბალტიის მხრის პროვინციების შესახებ მანიფესტში არაფერია ნათქვამი, საფიქრებელია, რომ დუმილი დათმობის სურვილს მოასწავებს.

პეტროგრადის ნაკაზი პირიქით გარკვევით მოითხოვს, რომ გერმანული ჯარი გაყვანილ იქმნას რუსეთის ტერიტორიიდან. სამაგიეროდ რუსეთმა

სრული თვითგამორკვევა უნდა მიანიჭოს პოლონეთსა, ლიტვასა და ლატვიას (ე. ი. ლატიშებით დასახლებულ კურლანდიის და ლიფლანდიის გუბერნიებს). ეს კიდევ ცოტაა. გერმანიამ უნდა დროებით დასცალოს აგრეთვე ელზას ლორენი, რათა ამ პროვინციამ თავისუფალი პლებისციტის საშუალებით თავისი მომავალი ბედი გადასწყვიტოს. აღდგენილ სერბიას გასავალი უნდა მიეცეს ადრიატიული ზღვისკენ, ავსტრიულმა პროვინციებმა ბოსნიას და ჰერცოგოვინას ავტონომიური მართვა გამგეობა უნდა მიანიჭოს. ავტონომია უნდა მიეცეს აგრეთვე იტალიელებით დასახლებულ ტრიესტსა და ტრენტინოს.

ძნელი წარმოსადგენია მეტი სიბეცისა და უმწეობის გამოჩენა როგორსაც რუსის დემოკრატია იჩენს ზავის საკითხში. როგორც სჩანს ამ ხალხს გამბედაობა არ შესწევთ სინამდვილეს ანგარიში გაუწიონ და პირდაპირ შეხედონ ჭეშმარიტებას. მთელი მათი პაციფისტური მოღვაწეობა უნაყოფო და უშინაარსო ფრაზეოლოგიაში იხატება. როგორც მათი ნაკაზის შინაარსი ამტკიცებს, მათი მიზნები არსებითად ომის წინასწარ მდგომარეობის აღდგენას გულისხმობს ცოტაოდენი ცვლილებით, რომელნიც უფრო გამარჯვებული გერმანიისა და ავსტრო-ჰუნგრეთისათვის არის საზარალო, ვიდრე მათი მოწინააღმდეგისათვის. გერმანიის იმპერიის კანცლერმა და საგარეო მინისტრმა აშკარად განაცხადეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დასთმობენ არც ელზას ლორენს, არც ბალტიის მხრის პროვინციებს. ავსტრია-ჰუნგრეთი კი სერბიას არასოდეს კარებს არ გაუღებს ადრიატიკის ზღვაში.

მოკავშირეების წარმომადგენლები, რომელნიც პარიზში შეიკრიბებიან უეჭველია ჰკითხავენ ბ. სკობელევს, შესწევს თუ არა რუსის დემოკრატიას ხალისი და ძალა ომი განაგრძოს სანამ აღნიშნული მიზნები განხორციელდებოდეს. ნაკაზში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მაგრამ ტარნოპოლი, რიგა, ოეზელი და მოონი თავის თავადაც საკმაოდ მეტყველებენ. და უეჭველია რომ ფხიზელი ევროპიელები ამ ფაქტებს უფრო გაუწევენ ანგარიშს ვიდრე იმ სიტყვებს.

რაინდი უშიშარი

შეჩერდი მგზავრო, თორემ ინანებ:
ბევრი მინახავს შენზედაც მარჯვე-
რომ ჩაჰკეცილან ამ გზაზე მუხლი
და, შემკრთალს, პირი ექმნას ტკანვე,

ირაკლი წერეთელი.

თვრამეტ-ცხრამეტი წლის ჭაბუკმა ირ. წერეთელმა უკვე დაახასიათა თავისი თავი „რაინდ უშიშარის“ სახელით, რამაც სიმბოლიური განსახიერება ჰპოვა ცხოვრებაში ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინად, როდესაც პირველად გაიგზავნა მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად და ეხლა ხომ უკვდავების ძეგლი დაიდგა ამ საშინელ აღრევის დროს, როდესაც ცალკე მარცხის ცეცხლი და ცალკე სახელმწიფოებრივი ანარქია ერთმანეთს სტიქიურ ქარიშხლით ამსხვრევენ ფოლადის ფრთებს. და მართლაც, ვინც 8 ოქტ. ინახულა იგი ხალხით გაჭედილ სახელმწიფო თეატრში გადმომდგარი, უეჭველია, დარწმუნდებოდა, რომ რუსეთის რევოლუციის ერთი უდიდესი ბაირახტართაგანი „უშიშარი რაინდია“. ძლიერს ტრიბუნს არ სჭიროდა იაფ ფასიანი თეატრალობა, რასაც სჩვევიან ზოგიერთა ორატორები შთაბეჭდილების მოსახდენად. სიტყვა მისი ფოლადის ნაკვეთია, მიტომაც აქვს ღრმა წონა, გიზიდავთ, გაფიქრებთ. ესაა მისი უდიდესი ღირსება, ესაა მისი ტრიბუნალობის ძლიერი მხარე.

მაგრამ ყოველისფერს აქვს საზღვარი და უშიშრობასაც, თქმა არ უნდა, ექმნება ზღვარი. ტრიბუნი ეხება დღიურ საკითხს „ომსა და რევოლუციას“. არ თქმულა იმისგან არც ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც არ გვსმენოდეს, არ წაგვეკითხოს, პრესისა და საზოგადოდ პოლემიკის საგნად არ გვენახოს, ათასჯერ არ აწონილ-დაწონილიყოს. რომ „ან ომი შთანთქავს რევოლუციას ან და რევოლუცია ომს“, ეს დიდი ხანია გვეგონენით. მაგრამ ამასთანავე გვეგონენით ისიც, რაც პირადად ირ. წერეთლისაგან დღემდე არ გვსმენოდა, სახელდობრ ის, რომ „რუსეთის დემოკრატიამ გაიმარჯვა ბურჟუაზიაზე“, რომ „მან შექმნა ძლიერი პლატფორმა, რომლის გარეშემოც უნდა გაერთიანდნენ მთელი ქვეყნის ყველა ძალები“, რომ „რუსეთის დემოკრატია ხელში იღებს ომისა და ზავის საკითხის გადაჭრას“, რომ „ვითომც რუს. დემოკრატიის ძახილს ანგარიშს გაუწევენ, შეიგონებენ ევროპის დემოკრატიული მიმართულებანი“ და სხვა და სხვა. ასეთი სიტყვები რუსთაგან როდი გვიკვირდება. საზოგადოდ რუსეთი ღვთის მაძიებელთა ქვეყანაა, სჯერა სასწაულებისა და ყოველს განსაცდელში ბავშურს რწმენამდე ჩამოდის. სხვა ქვეყნის პოლიტიკოსნი იმით განსხვავდებიან რუსთაგან, რომ ყოველს საკითხს რეალურად უყურებენ და ისე სჭრიან. გვეგონა, წერეთელი, როგორც არა რუსი, უფრო ფხიზლად შეხედავდა საკითხს, უფრო გულთან ახლოს არ მიიტანდა გარეთ შინაურს უბედურებას, რასაც გაუბედურებული ხშირად გონებრივ სიბეცემდე მიჰყავს, გვეგონა ამ შემთხვევაში მეტს გულწრფელობას დაუთმობდა ადგილს და იტყოდა იმას, რასაც განიცდის ყველა, უნდა სთქვას, მაგრამ ტრაგიზმით ენა ჩავარდნილს ძალა არ შესწევს გულისნადების აღმოთქმის. ჩვენ არას ვამბობთ „დემოკრატიის სრულს გამარჯვებაზე ბურჟუაზიაზე“, ამის შესახებ ამ ექვსი თვის წინად მოლაპარაკე ირაკლი წერეთლის ტაქტიკა გასცემს პასუხს დღევანდელს უშიშარს რაინდს. ჩვენ მივუთითებთ უფრო სხვა რამ საგულისხმიერო საკითხებზე: ნუთუ წერეთელს გულწრფელად სჯერა რუსეთის დემოკრატია ისეთი ძლიერი იყოს, რომ იკისროს უდიდესი მისსია—ევროპის დემოკრატიას ტონი მისცეს? ნუ თუ დარწმუნებულია, ვითომც რუსეთის დემოკრატია იმდენად ძლიერი იყოს, რომ მას შეეძლება არა თუ ომის ბორბლის შეტრიალება, არამედ მთელი ევროპის დემოკრატიის შეგონება? და ისიც რუსეთის დემოკრატიამ, რომლის უმეტესმა ნაწილმა ადამიანთა გვამების მაშხალის დანთება არ იუკადრისა, რომელსაც ერთგვარად უფრთხის როგორც მოწინააღმდეგე მხარის დემოკრატია, ისე მოკავშირისა? ნუ თუ გულწრფელად დარწმუნებულია, რომ ოდესღაც ციმერვალდის კაბინეთში შემუშავებული საბჭოთა დებულება—ზავი უკონტრიბუციოდ და უანექსიოდ,—მართლა მიღებულ იქნება თუნდა რუსეთის მოკავშირე ინგლის-საფრანგეთისგან? და განა იგივე ინგლის-საფრანგეთი არ იყო, რომ ამ გულუბრყვილო წინადადებას მხარი აუქცია? თუ რა აზრისა არიან მოკავშირენი რუსეთზე, ამას უფრო ნათლად დავინახავდით, რომ ცენზურის ორმაგი ლაგამი არა ჰქონდეს ამოდებული ფრანგულ-ინგლისურს პრესას. მიუხედავად ასეთის სისასტიკისა გადიკითხეთ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული შეფასება გერმანელთა მიერ ფრონტის გარღვევის შესახებ და მაშინ დაინახავთ, რომ ინგლისიც და საფრანგეთიც შორს არ წასულან ბისმარკის შეხედულობიდან, რომ ესენიც რუსეთს განვითარების გზად მიუთითებენ აზიაზე, იქა თქვენი ადგილი და არა ევროპისკენ წამოწევაში, სადაც თქვენი გაუნათლებლობით მხოლოდ ანარქიის შემოტანა შეგეძლებათო! ესეთია აზრი საზოგადოდ მოკავშირეების. მაშ საიდან მოსდის უშიშარს რაინდს ისეთი ღრმა რწმენა რუსეთის დემოკრატიის მისიისადმი? საოცარია!

ჩვენს ტრიბუნს შესწევს სითამამე „ომი ბოლომდის!“ დევიზად წამოაყენოს დღეს. „ომი ბოლომდის“,—ისიც იმის მოლოდინში, ვიდრე ევროპის დემოკრატია შეიგნებდეს რუსეთის დემოკრატიის დევიზს,—ძაან ადვილად ასატანია ისეთ შიშველ-ტიტველი მხედრობისთვის, როგორიცაა რუსეთისა, უიარაღო და შიმშილით ძარღვებ მოშლილი. „ომი ბოლომდის!“ ეს იგივე ემილ ვანდერველდეს კარატონის მახვილია, რომლითაც ბელგეთიდან აქ სტუმრობის დროს კერენსკის შეიარაღებინა რუსეთის მხედრობა, მაგრამ რა ფასი ჰქონდა ამ „ტოლედოს ფოლადის“ იარაღს, ეს დავინახეთ საზედისწერო შეტევის დროს გალიციის ფრონტზე და მაზე უფრო რიგის ფრონტის სასტიკი ეპოქის დროს! მაშასადამე, „ომი ბოლომდის“, დღეს, როდესაც მტერი პეტროგრადის კარს მისდგომია, მეტის-მეტად „უშიშარი რაინდის“ აპოლიტიკოსობას უფრო მოასწავებს, ვიდრე ბრძენ პოლიტიკოსის შორს განჭვრეტას, რომელიც ყოველ ღონეს მოიხმარდა ომის შესაწყვეტად, რომ უკანასკნელად ისიც არ დაეკარგნა, რაც სულის მოსათქმელად შერჩენია. ჩვენც გვრწამს, რომ „ან ომი ჩანთქავს რევოლუციას, ან რევოლუცია ომს“,—მაგრამ დარწმუნებული ვართ, ვიდრე ეს მოხდებოდეს საზოგადოდ ყველა მებრძოლ სახელმწიფოთათვის, რუსეთის აღარც ომი იქნება და არც მისი რევოლუცია!

ყველა სიკეთესთან არ შეიძლება უკმაყოფილო არ გამოსულიყავით თეატრიდან, როდესაც ერთს უდიდეს ხარვეზსა ჰხედავთ მის ლექციაში: ესაა ეროვნულ საკითხის სრულიად უგულისყოფა. იგი გველაპარაკებოდა „საზოგადო სამშობლო რუსეთზე“, მაგრამ რა ბედი უნდა ეწიოს ამა თუ იმ დამოკიდებულ ერს, ამაზე არა თქმულა-რა. ომის სალიკვიდაციოთ, სხვათა შორის, ეროვნული საკითხიცაა მთავარ კოზირად აღიარებული. გვეგონა, წერეთელი გაკვრით მაინც გაგვაგონებდა სასურველ სიტყვას, რაიმე კორრექტივს შეიტანდა აქ მომქმედ პარტიათა მოქმედებაში, ჩვენი ქვეყანაც სწორედ ამიტომ მოელოდა მის სტუმრობას, გეგო, რას ჰფიქრობს პირადად, ან რა აზრისა არიან მაღალს მართველ წრეებში, მაგრამ ყველა ეს რაინდულად დამარხულ იქმნა მხოლოდ იმიტომ, რომ უშიშრად ეთქვა ის, რაც ასჯერ და ათასჯერ თქმულა, მაგრამ რაც მთქმელებს თვითონაც აღარა სჯერათ. ვფიქრობთ, ამ ხარვეზს სხვა ლექციით მაინც შეავსებს...

დ. კახრაძე.

პრესის თავისუფლებისათვის

(სრულიად რუსეთის რედაქტორთა საზოგადოებისაგან).

ენკენისთვის 30-ს საერთო ყრილობაზე ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლუცია: „ახალ წესწყობილებით დამყარებული პრესის თავისუფლება ეჭვს გარეშეა რომ დიდ კულტურულ საფასურს წარმოადგენს. იგი ელემენტები პარტიულ მიზნებს და ინტერესებს და აი, რევოლუციით მოპოვებულ ასეთს განძს კვლავ საფრთხე ელის.

რესპუბლიკურ რუსეთში კვლავ ჰზღუდავენ თავისუფალ სიტყვას. კვლავ იზღუდება რუსი მწერალი თუ პუბლიცისტი. ომმა და მოქალაქობრივმა უთანხმოებამ აიძულა დროებითი მთავრობა საგანგებო ზომებისთვის მიემართა. და აკი ადმინისტრაციის უმაღლეს პირებს კიდეც მიანიჭა უფლება დროულ გამოცემათა დახურვისა უსასამართლოდ. მართალია ეს დადგენილება სრულებით არ შეეფერება პრესის თავისუფლებას, მაგრამ უნდა საყოველთაოდ განუცხადოთ, რომ იმდენს საფრთხეს მთავრობის რეპრესიები არ უმზადებენ, რამდენსაც სხვა და სხვა ორგანიზაციები, საბჭოები და კომიტეტი.

ხსენებულ ორგანიზაციებმა რევოლუციის პირველ დღეებიდანვე გამოჩინეს სრული უცოდინრობა პრესის თავისუფლების მნიშვნელობისა და მრავალგან, განსაკუთრებით კი პროვინციაში, შექმნეს პრესის ისეთი რეჟიმი, რომელიც არსებითად არაფრით არ განირჩეოდა ძველ მთავრობის ცენზურის რეჟიმისაგან.

დროულ გამოცემებს ხომ კომიტეტების და საბჭოების ნებადაურთველად არ ეძლევათ გამოსვლა. ხშირდება ხმები, რომ შემოღებული იქნება წინასწარი ცენზურა კომიტეტებისა და საბჭოებისაგან. ზოგ-ზოგ გამოცემებს ხომ სამარცხვინო დაღად აქვს აღბეჭდილი „ნებადართულია რევოლუციურ ცენზურით“-ო. უკვე ზომებიცაა მიღებული, გამოდის დადგენილებები, რომ აკრძალულ იქმნეს ცალკე გამოცემების გაყიდვა—გავრცელება. ამ ზომებს ფაქტიურად მილიცონრების საშუალებითაც ახორციელებენ. იხურება „მავნე“ მიმართულების გაზეთები, სტამბების რეკვიზიცია იზრდება.

პრესის თავისუფლების სახელით ჩვენ მოვალედ ვთვლით ჩვენ თავს, აღვიმაღლოთ და უფრო გაბედულად გამოვიდეთ ვიდრე ძველ რეჟიმის დროს. ჩვენ მივმართავთ დროებით მთავრობას და მოვითხოვთ პრესის თავისუფლების დაცვას.

მივმართავთ ყველა საზოგადო ორგანიზაციებს და მოვაგონებთ, რომ პრესის თავისუფლების შეზღუდვა—ეს რუსეთის კულტურისა და რევოლუციის წინაშე დიდ დანაშაულად ჩაითვლება. მივმართავთ ყველა ჩვენს მეგობრებს, მხარში ამოგვიდგნენ ცენზურის რეჟიმთან ბრძოლაში, საქვეყნოდ ააშკარაონ ყოველივე პრესის თავისუფლების შესაზღუდავად გადადგმული ნაბიჯი ვისიც უნდა იყოს იგი.

ომი და ზავი

დეპეშები

აღმოსავლეთის ფრონტი.

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. ღვინობისთ. 9. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** ღვინობისთვის 8-ს 17 საათზე მტერმა თავის მთავარ ასპარეზისკენ დაიხია. იგი ეხლა სკოულ-ლემბერგის რაიონშია; ჩვენი მოწინავენი ფეხდაფეხ მისდევდნენ მტერს. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. დედიატინის ჩრდილო რაიონში ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტა დაძმობილების მდომი გერმანელები.

კავკასიის ფრონტი. არსებითი არა არის რა.

ბრძოლა ბალტიის ზღვაზე

საზღვაო მთავარ შტაბის ცნობა

პეტროგრადი. ღვინობ. 9. რიგის ყურის ჩვენ მოდარაჯე რაზმების წინ მტრის დიდი ძალები გამოჩნდნენ ტრანსპორტებით. მოონზუნდეს, როგორც ეტყობა, გერმანელები სწმენდენ. ბალტიის ზღვაზე დღის განმავლობაში ბრძოლა არ მომხდარა. ფინლიანდიის ყურის შესავალში მტრის წყალქვეშები შენიშნეს. ჩვენი ფლოტის მიზანი იყო დაყრდნობოდა მოონზუნდის სიმაგრეებს და ხელი შეეშალა მტრისათვის რიგის სრუტისა და მოონზუნდის ალებაში. ჯერ გერმანელთა მცირე ძალები იყო სრუტეში სულ 2 დრედნოუტი და სხვა. ისე, როგორც 1915 წელს, როდესაც მოონზუნდის ასპარეზზე მხოლოდ მაშინ ჰჩენდებოდა, 3 დღის განმავლობაში მტერმა ისეთი ზარალი ნახა, რომ ყურედან გავიდა. 1916 წელს უფრო სუსტი ძალებით გამეორებულ ამგვარ ცდას იგივე ბედი ეწვია. ეხლა კი მტერმა დიდი ძალები გამოუშვა. გამაგრებულ პოზიციების დაკარგვისა და გერმანელების მიერ დესანტის გადმოსხმის შემდეგ ჩვენი ფლოტის მიზანი იყო ესარგებლა ყველა საშუალებებით, რათა მტერი დაეზიანებინა.

მთავარ ბანაკის ცნობა

ბალტიის ზღვა. ღვინობისთვის 8-ს განმავლობაში ზღვაზე ბრძოლა არ მომხდარა. ფინის ყურის შესავალში გერმანელთა წყალქვეშები აღმოჩნდნენ. ღვინობისთვის 8-ს 10 საათზე გერმანელებმა ნაღმოსნებიდან სროლა აუტეხეს ჩვენს ნაწილებს, რომელიც ჩვენს სანაპიროებს იცავდნენ. მალე გერმანელებმა ნახევარ კუნძულ ვერდერზედ იწყეს გადმოსვლა. ვერდერზე მტერმა ორი როტა ქვეითა ჯარი გადმოსხა და ნახევარ კუნძულის დასავლეთი ნაწილი დაიჭირა.

დაპყრობილ რუმინეთის მოსავალი

მოქმედი ლაშქარი. ღვინობისთვის 9. დაპყრობილ რუმინეთის მთელი მოსავალი გერმანეთში გაზიდეს.

ვილჰელმი კონსტანტინეპოლში

მოქმედი ლაშქარი. ღვინობ. 9. ტყვეების აზრით, ვილჰელმის წასვლას კონსტანტინეპოლში მიზნად გერმანეთსა და ოსმალეთს შორის კავშირის განმტკიცება აქვს. ოსმალეთი კარგა ხანია აცხადებს, რომ იგი დაუძლურდა და ომის გაგრძელება აღარ შეუძლიან.

ქლოროფორმიანი ყუმბარები

მოქმედი ლაშქარი. ღვინობ. 8. ამ უკანასკნელ დღეებში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გერმანელები ქლოროფორმიან ყუმბარებს ხმარობდნენ.

დასავლეთის ფრონტი.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. ღვინობისთვის 8. ოფიციალი. მდინარე ენის ფრონტზე წუხელ ორივე მხრით არტილერია მოქმედობდა. ჩვენ მტრის სამხედრო მასალის საწყობი ავაფეთქეთ. ლაფფოს რაიონში პატრულებს შეტაკებაა. კორნილეს მთის დასავლეთით, მაასის ნაპირებზე და ლა-შაპელოტის უბანში მტრის ხელ-ჩართული იერიში მოვიგერიეთ. დავიჭირეთ ტყვეები.

მფრინავთა მოქმედება. ფროლეუსის სავიაციო ცენტრში ღვინობისთვის 7-ს შევნიშნეთ დიდი საჰაერო ბურთი. მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ „ცეპელინიც“ მოსდევდა. შემდეგ სხვა და სხვა ადგილებიდან, კერძოთ ტულონიდან ცნობა მოვიდა, რომ საჰაერო ბურთი კვლავ გამოჩნდა, მაგრამ მალე სამხრეთ აღმოსავლეთისკენ მიიმალა; ჰგონიათ, რომ იგი ზღვაში დაილუპებოდა.

„ცეპელინები“ პარიზზე.

პარიზი. ღვინობისთვის 7. გათენების წინ ქალაქის აღმოსავლეთის ნაწილზე რამდენიმე „ცეპელინმა“ გადაიფრინა. 1 მათგანს ცეცხლი მოედო და რამბერვილიეში ჩამოვარდა.

სამხედრო ბეგარა ჰოლანდიაში.

ჰააგა. ღვინობისთვის 4. (დაგვიანებული). ნიდერლანდიის მთავრობა სავალდებულო სამხედრო ბეგრის პროექტს იმუშავებს.

ამერიკის დახმარება საფრანგეთს.

ნიუ-იორკი. ღვინობისთვის 7. შეერთებულ შტატებმა გადასწყვიტეს, რომ საფრანგეთს გემებით დახმარება აღმოუჩინონ. ჯერ-ჯერობით ათხოვებენ რამდენიმე გემს. მათი საერთო ტონნაჟი—280.000 ტონი. გემებს საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის მოიხმარებენ.

ზღვაზე.

ინგლისელთა გემების დალუპვა.

ლონდონი. ღვინობისთვის 7. ჩრდილოეთის ზღვაზე შოტლანდიის კუნძულებისა და ნორვეგიის სანაპიროების შუა ღვინობისთვის 4 ინგლისიდან მიმავალ გემების ქარავანს გერმანელთა 2 სწრაფულ-მავალი კრეისერი თავს დაესხა. ქარავანს 2 ნაღმოსანი იცავდა, რომელთაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელთა კრეისერებს, ვიდრე არ ჩაიძირნენ. ამის გამო კრეისერებმა დიდ ხანს ვერა ჰბედავდნენ [illegible]. ამან 3 ტრანსპორტს გაქცევის საშუალება მისცა. დალუპეს შეუიარაღებელი 5 ნორვეგიული, დანიელთა—1 და შვეციის—3 გემი. ინგლისის სადარაჯო გემმა ბრძოლის ადგილზე 30 კაცი გადაარჩინა. 135 კაცი დაღუპულა.

იტალიის გემის დალუპვა.

ათინა. ღვინობისთვის 1. (დაგვიანებული). ოფიციალი. ნაღმით დალუპეს იტალიის ერთი გემი, რომელზედაც 360 ბერძენი მგზავრი იმყოფებოდა და საკონსულოს მოხელენი.

ზავის გარშემო

საფრანგეთის ომის მიზანი

პარიზი. ღვინობ. 9. მალვის საქმის გამო დელაგესადმი მიმართულ პასუხში პენლევემ სხვათა შორის სთქვა: „საფრანგეთის ომის მიზანი მხოლოდ მისი გათელილი უფლებების აღდგენა არისო“. მას ვერ შესცვლის ბრძოლის ველზე გამარჯვება და არც შეცვლილა მას შემდეგ, რაც დამარცხებულ საფრანგეთს ელზას ლორენი ჩამოართვეს და იგი პროტესტს აცხადებდა. ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ მისი დაბრუნება და თუ მასზე ხელს ავიღებთ, მაშინ ჩვენ თავზეც უნდა ავიღოთ ხელიო.

რუსეთის რესპუბლიკა

დეპეშები

მარინის სასახლე.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 6. დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ მარინის სასახლე მის გამგეობის ქვეშ გადავიდეს.

დონეცის სარაიონო კომისარი.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 6. დონეცის რაიონის მოსაწესრიგებლად, დროებითი მთავრობის დადგენილებით, არსდება დროებითი მთავრობის კომისრის თანამდებობა.

ვაჭრობა-მრეწველობის პალატა.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 6. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: დაარსდეს ვაჭრობა მრეწველობის პალატა. პალატაში შევლენ რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის ყველა დარგთა წარმომადგენლები.

საეკლესიო ყრილობა.

მოსკოვი. ღვინობ. 7. სახელმწიფო სათათბიროს იმ წევრებს, რომელნიც საეკლესიო ყრილობაზე, არიან გაგზავნილნი, როძიანკომ დაავალა განაცხადონ ყრილობაზე, რომ სათათბიროს დათხოვნის შემდეგ საკითხი ისმება შეუძლიან თუ არა სათათბიროს წევრებს ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ. ყრილობის თავმჯდომარემ მოსკოვის მიტროპოლიტმა ტიხონმა განაცხადა, რომ ყრილობა განიხილავს საკითხს, მანამდე კი ყრილობის მუშაობაში სათათბიროს წევრნი მონაწილეობას განაგრძობენო. ასეთივე განცხადება შეიტანეს სახელმწიფო საბჭოს წევრებმა და ანალოგიური პასუხი მიიღეს.

ანარქია

უწესოება რეველში.

პეტროგრადი. ღვინობ. 7. რეველის ციხის უფროსი უარყოფს ხმებს, ვითომ რეველში ანარქია ყოფილიყოს გამეფებული. მხოლოდ ღვინის სარდაფი გაანადგურესო.

სროლა ნიკოლაევში

ნიკოლაევი. ღვინობ. 7. სადგურზე ჯარის-კაცთა მატარებელი რომ დაიძრა მოულოდნელად ჰაერში სროლა დაიწყო. 2 კაცი დაიჭრა. ქარხნებს წითელი გვარდიელები იცავენ. ქალაქში ყარაულები გააძლიერეს.

უწესოება ჯარში.

მოქმედი ლაშქარი. ღვინობისთვის 8. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალი თავის ბრძანებაში აღნიშნავს, რომ ლაშქრის რაიონში რამდენიმე ადგას უწესოება მოხდა, ღვინის საწყობები დაარბიეს და პური გაანადგურეს. კომიტეტებს მოუწოდებს ზომები მიიღონ.

ძარცვა-ძალადობა ბელეცში

ბელეცი. ღვინობისთ. 8. ჯარისკაცად გამოწყობილებმა ღვინის საწყობები გასძარცვეს. სოფლად გამართეს ქეიფი; მთვრალებმა ისევ ძარცვასა და ძალადობას მიჰყვეს ხელი. მოკლულია 1.

მცხოვრებთა ხოცვა ცარიცინში

ცარიცინი. ღვინ. 9. მშვიდობიან მცხოვრებთ თავზარსა სცემს მცარცველთა ბრბო, რომელიც მთელ ოჯახებსა ხოცავს. მარტო ენკენისთვეში 170 ძარცვა-გლეჯა მოუხდენიათ.

ზომები დარბევის წინააღმდეგ

ოდესა. ღვინობ. 8. ბოლო დროს დარბევის აგიტაცია გაძლიერდა. საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტების გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა ზნეობრივი გავლენა იქონიოს ფართო მასაზე. აიკრძალა მიტინგები და ქუჩაში თავის მოყრა. ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში წითელ გვარდიელების, ჯარისკაცების და მეზღვაურების ყარაულებს დააყენებენ.

ყაზახები ანარქიის წინააღმდეგ

ტაგანროგი. ღვინ. 6. სამთამადნო ქარხნების დარბევისაგან დასაცავად ყაზახები ჩამოვიდნენ.

სარდაფის დამტვრევა

რიაზანი. ღვინობ. 8. ღამე ბრბომ ღვინის სარდაფის დამტვრევას ეცადა, მაგრამ ტყვიისმფრქვეველის საშუალებით გაჰფანტეს. შემდეგ სარდაფი წყლით გაავსეს.

სარდაფის დაწვა

ნიკოლაევი. ღვინობ. 7. ღვინის სარდაფს მეორედ წაუკიდეს ცეცხლი. ქალაქში სიწყნარეა.

ახალი ბუგიდან იუწყებიან, რომ სურსათის სიმცირის ნიადაგზე თავნებით ჩარევა დაიწყო. ყაზახებმა წესიერება აღადგინეს.

რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

კერენსკის სიტყვა

(გაგრძელება)

ანარქია

აქ არ მსურს გადმოგცეთ სურათი იმ საშინელი ანარქიისა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მოუცავს. ყოველ დღე დროებით მთავრობას და შინაგან საქმეთა მინისტრს ამბები მოსდის ისეთი სახისა, რომელთა დაჯერებაც კი ძნელია. ამ ტელეგრამებით გადმოცემული ამბები გვიდგენენ ყველაზე შავბნელ, ყველაზე საზიზღარ სურათებს ძველი მთავრობის დროიდანა. ამავე დროს შრომის უნარი იკარგება, საზოგადო უნიათობა ჰკლავს სამეურნეო ცხოვრებას, ჩვენ უკვე ეკონომიურ და ფინანსიურ საშინელ კრიზისების წინაშე ვდგევართ. ახლო მომავალში აღარ გვექნება სათბობი მასალა, აღარც სურსათი. ფრონტიც უპატრონოდ გვრჩება, თუმცა მთელი ძალღონე აქეთ უნდა იყოს მიმართული, რომ მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი არ დავტოვოთ ჩვენი მებრძოლნი. რაც კი რამ შესაძლებელი იყო, ყველა ზომა იქნა მიღებული, მაგრამ ზომები ტყვილა-უბრალოდ იმსხვრეოდა საზოგადო აპატიისა და უმოქმედობის რკინის გრდემლზე. ჩვენ გვწამს, რომ რუსეთის რესპუბლიკის საბჭო შესძლებს გავლენა იქონიოს ფართო საზოგადოებრივ წრეებზე, რათა აღადგინოს მოდუნებული მაჯისცემა და მით შეგვაძლებინოს სამეურნეო და საეკონომიო ცხოვრების განახლება.

ამან უნდა შეჰქმნას ელემენტარული წესიერება, რათა დაზღვეული შეიქმნეს თვითეულ მოქალაქის ცხოვრება, რა პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. როდესაც ამ მიზნებს მივაღწევთ, მაშინ შევძლებთ უდიდეს მიზნის მიღწევას: მტრის დამარცხებას! არმიის სახელით ვაცხადებ, რომ დღეს მთელი რუსეთის მხედრობა მოელის შინ წესიერების დამყარებას, რაც შეეხება მას, იგი პირნათლად შეასრულებს თვის მოვალეობას. (ტაში ცენტრში და ზოგიერთ ადგილებში). აქ არ შემიძლიან არ შევჩერდე სასურსათო საკითხზე.

სასურსათო საკითხი

იმედი მაქვს, რომ გლეხობის წარმომადგენელნი, რომელნიც აქ არიან, შესძლებენ ჯარს სრული დახმარება აღმოუჩინონ. ჯარის მდგომარეობას უსურსათობა მოელის და ფრონტების დამშევის მოსალოდნელი შედეგები თანდათან უფრო აშკარავდება.

მისალმება

ნება მომეცით დროებითი მთავრობის სახელით ერთხელ კიდევ მოგესალმოთ. დროებითი მთავრობა 7 თვეს დიდის ბრძოლით იცავდა სამშობლოს და რევოლუციას. მოსალოდნელ გაჭირვებაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ, რომ დღევანდლამდე დროებით მთავრობას სამშობლოს ბედნიერების მეტი არა სდომებია რა; ამასთანავე მთავრობა ჯერ კიდევ აპრილიდან მოყოლებული ყველაზე მეტს სცდილობდა დაემყარებინა კავშირი მასა და ხალხს შორის თუნდაც ასეთი უსრული სახის, მაგრამ მაინც, ხალხის წარმომადგენლობით; და სრულებით არ არის ჩვენი ბრალი, თუ ეს დაგვიანდა. ჩვენ ამას ვსცდილობდით და ამავე დროს კი ხალხში შესაძლებელია უსაფუძვლოდ სძრახავდნენ ჩვენს მოქმედებას. აქ კი, ამ საბჭოში, დამფუძნებელ კრების წინამორბედზე დიდის სიხარულით მოგვაქვს ჩვენი 7 თვის ნაშრომი. ჩვენ დიდის სიამოვნებით მოგცემთ მას საკამათოდ და მადლობით მოვისმენთ ნამდვილ შენიშვნებს. მხოლოდ ერთსა გთხოვთ—ყველაფერი გაიღოთ სახელმწიფოს ბედნიერებისათვის და ყველაფერი დაივიწყოთ სამშობლოს თავისუფლებისათვის, ეცადენით რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის ამ საშიშ ჟამს არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ ძმები ვართ და ურთმანეთოდ უსწორო ბრძოლაში ვერ გავალთ იმ ნათელ გზაზე, რომელზედაც რუსეთის რამდენიმე შთამომავლობა ოცნებობდა. (ტაში ცენტრში, მარჯვნივ და რამდენიმე ალაგას მარცხნივაც, ხმები: „ვაშა“). ჩვენ, დროებით მთავრობა, რომლის ხელშიაც სრული ძალა-უფლება არის, მხოლოდ თქვენი მსახურნი ვართ, გთხოვთ გვითხრათ ჩვენ სიმართლე, მხოლოდ ნამდვილი სიმართლე პატიოსნების სახელით და სინიდისის ქვეშ. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას სიტყვა

ბრეშკო-ბრეშკოვსკაია აღნიშნავს, რომ გლეხობა დიდი ხანია ოცნებობს თავის უფლებებზე. გლეხს სწამს, რომ მხოლოდ მას აქვს უფლება მიწის კუთვნილობაზე. ამ მისწრაფებასთან ბრძოლა უაზრობა იქნებოდა და სახელმწიფოს ტანჯვას გააძლიერებდა. ეს მისწრაფება ისტორიული ხასიათის მიმდინარეობაა, რომელიც თვით ხალხის ფსიხოლოგიას აქვს შეთვისებული და ღრმა ეკონომიური მოთხოვნილებაა. რუსეთის გლეხობას თავისუფლება ვერ წარმოუდგენია ისე, რომ მას მიწა არ მიეცეს. ამ ისტორიული საჭიროების, რუსის ხალხისათვის მიწის მოთხოვნილების რაიმე პალიატივებით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია. ეხლანდელი უწესოებანი და ანარქიული გამოსვლები სწორედ 2 ჯგუფის ინტერესების კოლიზიით არის გამოწვეული აგრარულ ნიადაგზე. თუ რესპუბლიკის საბჭოს მართლა უნდა, რომ რუსეთი ბედკრულ მდგომარეობიდან გამოვიდეს, ისტორიის მოთხოვნილების თანახმად უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი. (ხანგრძლივი ტაში).

აფქსენტიევის სიტყვა

რუსეთის მდგომარეობა

ცუდ დროს იკრიბება რესპუბლიკის საბჭო. მე-4-ე წელია, რაც კაცობრიობას და რუსეთს ომის მახლაჯუნა სტანჯავს. მტერი წინ მოიწევს და ემუქრება დედა ქალაქს, სამშობლოს მთლიანობას, მის თავისუფლებას და რევოლუციისა და რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ უფლებებს. სახელმწიფოს გადაარჩენს მხოლოდ ხალხის დიადი ენტუზიაზმი, ფოლადისებრი ნებისყოფა და მთელი ძალ-ღონის ამოძრავება, თავისუფალ რუსეთის მისწრაფებათა სისპეტაკის შეგნება. მე-2-ე დიდი რევოლუცია საფრანგეთისა ამავე მდგომარეობაში იყო, მაგრამ მან არამც თუ მარტო წარმოსთქვა საშიში სიტყვები: „სამშობლო განსაცდელშია“, არამედ მთელი თავისი არსებით გაიმსჭვალა მით და ტანჯვაში შეიგნო მისი აზრი. მან შესძლო და ყველას მოუწოდა ბრძოლისაკენ, პასუხსაგებ საქმისაკენ და გამარჯვებულიც დარჩა. მე მრწამს, რომ ის დიადი და ახალი, რომელიც რევოლუციონურ რუსეთს კაცობრიობისთვის მოაქვს, ისევე აღანთებს მის შვილებს, როგორც საფრანგეთის მოქალაქენი—მაშინდელმა რევოლუციამ. (ტაში).

რუსეთის რევოლუცია

რუსეთის რევოლუციამ პირველ დღეებიდანვე საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი მისწრაფება ზავისკენ და დღემუდამ მთავრობას ზავისაკენ მოუწოდებდა. დარწმუნებული ვარ, რომ რესპუბლიკის საბჭოც მუშაობის დაწყებისას პირველ მიზნად ზავის დაჩქარებას დაისახავს ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლების აღიარებით. ამასთანავე თავისუფალი რუსეთი არც ერთი წამით არ შესწყვეტს ქვეყნის დაცვისათვის ზრუნვას. (ტაში).

სამშობლოს დაცვა

მოქალაქენო, სამშობლო იღუპება და ეხლა, როდესაც ერთი აზრი გვიტაცებს თავდავიწყებით, აზრი მისი დაცვისა, ჩვენში გარჩევა არ უნდა იყოს. ეხლა უნდა დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლია მსხვერპლის გაღება ჩვენ და ერთი მისწრაფებით გატაცებულნი ვართ (ტაში). მოქალაქენო, სამშობლო მოგიწოდებთ მის დასაცველად და არცერთს აქ მყოფს არ შეუძლია, ვერ გაჰბედავს და არც ისურვებს ოდნავ მაინც დაიშუროს თავისი ძალა ამ საქმისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა საკუთარი თავისუფალ არსებობის უარყოფა, თვით თავის უფლების დიადი მნიშვნელობის უარყოფა, ნიშნავდა რუსეთის რევოლუციის საქმის დანგრევას და სიბნელისა და რეაქციის ბატონობას (ტაში). ჩვენი პირველი ლოზუნგი უნდა იყოს: მთელი ძალღონე სამშობლოს თავისუფლების დაცვას, თავდაცვას და ბრძოლას რევოლუციის გამარჯვებისათვის (ტაში). როდესაც ჩვენ აქ ვჰკობთ, ბალტიის ზღვაზე ჩვენი ფლოტი მამაცად ებრძვის უძლიერესს მტერს, ჩვენი აზრი, გონება, პატივისცემა და ლოცვა-კურთხევა მათდამი უნდა იყოს (მქუხარე, განუწყვეტელი ტაში) და რაც მთავარია: საჭიროა ჩვენ მათთვის მუდამ ჟამს ვზრუნავდეთ და აქტიური დახმარება გავუწიოთ მათ. მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ აქტიურ მუშაობისათვის და შიგნით სახელმწიფოს მოსაწყობად. ჩვენთან არიან ჩვენი მოკავშირენი, რომელნიც ჩვენ შეგვესისხლხორცდნენ ხალხთათვის საპატიო ზავის რაც შეიძლება მოკლე ხანში ჩამოსაგდებად (მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ოვაციებს უმართავენ).

შინაგანი მდგომარეობა

სახელმწიფოს შინა-მდგომარეობა არა ნაკლებ სახიფათოა სამშობლოს თავისუფლებისა და რევოლუციის მოპოვებათათვის. მეურნეობაში რღვევა, მიმოსვლის მოუწესრიგებლობა, ფინანსიური სავიწროვე და სურსათის ნაკლებობა—ყველა ეს ძირს უთხრის თავისუფალ ქვეყნის არსებობას, უკმაყოფილებას ჰბადებს, ფრონტის მთლიანობას არღვევს და ანარქიას აძლიერებს. რესპუბლიკის საბჭომ სახელმწიფოს ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად დროებით მთავრობას უნდა შეუერთოს თავისი ძალღონე. ეხლა საჭიროა ორგანიულ აღმშენებლობითი ხასიათის მუშაობა, ისეთი საჩქარო საკანონმდებლო აქტების განხორციელება, რომელიც სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრებაში წესიერებას შეიტანდა. რუსეთის ახალი ცხოვრების პირობები ახალ ღონისძიებებს ითხოვს (ტაში).

დროებითი მთავრობა სულ იმის ცდაში იყო, რომ ამ გზით ევლო. ეხლა რესპუბლიკის საბჭოს ვალია მისი მოქმედება მიზნის მისაღწევად გააძლიეროს, განავითაროს და ძალა შეჰმატოს, ახალი მიზნები დაუსვას და ახალი საშუალებანი მისცეს რუსეთის სახელმწიფოებრივობას.

მოქალაქენო! ყველა ის, რაც აქ ითქვა, ახალი არ არის და ეს უბედურება სამშობლოსი სისხლის ასოებით არის აღბეჭდილი თქვენს გულზე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ფაქტის აღნიშვნისათანავე საჭიროა რწმენა. (ტაში). რუსეთს ბევრჯერ, ძველი რეჟიმის დროსაც, როდესაც მისი თავისუფლება შებორკილი იყო, სწევვია უბედურება, მაგრამ მუდამ უხსნია თავი.

ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა და მოსწავლეთა გუნდი მცხეთობას.
(გრინბერგის ფოტოგრაფიიდან)

ბევრი თქვენგანი დიდი ხნის განმავლობაში მოუთმენლად მოელოდა თავისუფლებას და ეწამა კიდეც მისთვის, მაგრამ 6 თვე გავიდა და თავისუფალ რუსეთის ცხოვრება ვერ იქნა და ვერ დავალაგეთ. ნუ თუ ამას შეუძლია ჩვენში რწმენა მოჰკლას?—არასდროს! მე ვგონებ, რომ ამ სიტყვით—„არასდროს“ გამოვხატავ კრების ერთსულოვან გულისთქმას. (ტაში).

რესპუბლიკის დროებითი საბჭო

ახალი სახელმწიფო დაწესებულება, რომელსაც რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭო დაარქვეს, მხოლოდ 2 თვე იარსებებს, რომლის შემდეგაც მოვა ნამდვილი პატრონი რუსეთისა მთელი ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება. რესპუბლიკის საბჭო დროებით მთავრობასავით უნდა ეცადოს არავითარ შემთხვევაში არ გადაიდოს დამფუძნებელი კრება. ვადა მოკლე გვაქვს მუშაობისა, მით მეტი ენერგია უნდა გამოვიჩინოთ. ორგანიზაციულ საზოგადოებრივობის ძალას წარმოვადგენთ, ხოლო დარაზმული საზოგადოებრივი ძალები ის საფუძველია, რომლის დაუხმარებლად შეუძლებელია ნაყოფიერი სახელმწიფო აღმშენებლობა, ხოლო უკანასკნელი ჩვენ უნდა გავანაყოფიეროთ. ნება მიბოძეთ გამოვთქვა ჩემი ღრმა რწმენა, რომ რუსეთის საზოგადოებრივობა შესძლებს ამ დანიშნულების შესრულებას. ნება მიბოძეთ გულის სიღრმიდან საბჭოს საპასუხისმგებლო მუშაობას გამარჯვება ვუსურვო. ჩვენი კრებულის გახსნისას ნება მიბოძეთ მოგიწოდოთ დაიძახოთ ჩემთან ერთად: „გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს“. (ხანგრძლივი მქუხარე ტაში).

პრეზიდიუმის არჩევნები

თავმჯდომარის ამხანაგებად აირჩიეს პეშეხონოვი (222 თეთრი, 23 შავი), ნაბოკოვი (203 თეთრი, 43 შავი), კრობმალ (201 თეთრი, 46 შავი), მდივნად—ცინზიაკი, მის უფროს ამხანაგად ჩაფრანოვი.

ტროცკის სიტყვა-

რიგს გარეშე განცხადებით გამოდის ბოლშევიკი ტროცკი, რომელსაც ხმამაღლა პროტესტით უმრავლესობა ხშირად აწყვეტინებს სიტყვას. ისმის აღშფოთებული ხმები. ტროცკი აცხადებს: ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მოწვეულ დემოკრატიულ საბჭოს ოფიციალ მიზნად აღიარებული იყო: უპასუხისმგებლო პირადი ხასიათის მმართველობის გაუქმება და შექმნა ისეთი პასუხისმგებელი მთავრობისა, რომელიც შესძლებს ომის გათავებას და დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევას. კულისების იქით მოქმედებით კადეტებმა და ესერების და მენშევიკების ბელადებმა შეჰქმნეს მთავრობა, რომლის გარშემოც ფარულ და აშკარა ხელმძღვანელების როლში კორნილოვის მომხრენი გამოდიან. ამ მთავრობის უპასუხისმგებლობა ფორმალურად უკვე აღიარებულია, ხოლო რუსეთის რესპუბლიკის საბჭო სათათბირო ორგანოდ გადააქციეს. რევოლუციის მერვე თვეში მთავრობა თავისთვის საფარსა ჰქმნის ბულიგინის სათათბიროს ახალ გამოცემისაგან. ტროცკი კრებას მიუთითებს, რომ მთავრობის შემადგენლობაში ცენზიანთა წარმომადგენლები ბევრნი არიან და სახელმწიფოში კი მათი მნიშვნელობა ნაკლებია. დამფუძნებელ კრებაზე ცენზიანები ასეთ ბედნიერებას მოკლებულნი იქნებიან. ცენზიანი ელემენტები, რომ დამფუძნებელ კრებისათვის ემზადებოდნენ, ისინი არ მოითხოვდნენ ეხლა უპასუხისმგებლო მთავრობას. მათი მთავარი მიზანი დამფუძნებელ კრების ჩაშლაა. ვდ.

(პროტესტები მარცხნიდან). ამ მთავარ მიზანს ემორჩილება მთელი მათი საშინაო პოლიტიკა. ცენზიანი ელემენტები ხელს უწყობენ ომის მიერ გამოწვეულ აღრევას და აშკარად მიემართებიან შიმშილის ჩონჩხის ხელისაკენ, ხოლო შიმშილმა უნდა წაალეკოს რევოლუციაც და დამფუძნებელი კრებაც.

ეროვნული საკითხი

ყუბანის ყაზახთა რესპუბლიკა

პროექტის განხილვა

ეკატერინოდარი. ღვ. 6. პროექტის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ პროექტის წინააღმდეგნი არიან ფრონტის წარმომადგენლები და თემის წევრი-გლეხები. სოტნიკმა გერვასიმ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა დამფუძნებელ კრების უფლებათა უზურპაციის წინააღმდეგ. თემურად მცხოვრებმა გლეხებმა კრებას თავისი დეკლარაცია წაუკითხეს, სადაც ნათქვამია: გამოცხადებითი წესით ფედერაციის საკითხის გადაჭრის შემდეგ მოსალოდნელია მიწის საკითხიც იმავე წესით გადაწყდესო. დეკლარაციის გამოქვეყნებისას დარბაზში დიდი ხმაურობა იყო. რადამ პროექტი მიიღო. თემურად მცხოვრებმა გლეხებმა დარბაზი დასტოვეს. რადა ატყობინებს მთავრობას, კანონი დაუყოვნებლივ შედის ძალაში.

სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი

ეკატერინოდარი. ღვინობ. 7. ჯარის რადამ დაადგინა შეჰქმნას სამხრეთ აღმოსავლეთის კავშირი, რომელშიაც შევლენ ყუბანის, თერგისა და ასტრახანის ყაზახები, ჩრდილოეთ-კავკასიის მთიულნი, დონის ოლქისა და ასტრახანის გუბერნიის მცხოვრებნი. კავშირის შედგენის მიზანია სახელმწიფოს სილი ნაწილები გახრწნას გადაარჩინოს, ძლიერ ეროვნულ მთავრობის შექმნას ხელი შეუწყოს, კავშირში შესულ ერთა უფლებები დაიცვას და მტერთან და ანარქიასთან იბრძოლოს. ფედერატიულ მართვა-გამგეობის პროექტის განხილვის შემდეგ რადა მას მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად. ამავე დროს რადა საკანონმდებლო მუშაობას განაგრძობს. რადამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც საოლქო რადას ავალებს ოლქის სხვა ეროვნებათა მართვა-გამგეობაში მონაწილეობისათვის საგანგებო პროექტი შეიმუშაოს.

ციმბირის მაჰმადიანთა ყრილობა

ტომსკი. ღვინობ. 7. გაიხსნა ციმბირის მაჰმადიანთა ყრილობის კრება. ყრილობამ უნდა განიხილოს ციმბირის მაჰმადიანთა ეროვნულ-კულტურული ავტონომია, ციმბირის საოლქო ყრილობასთან დამოკიდებულება და სარწმუნოებრივი გაერთიანება.

ეკონომიური ცხოვრება

მანეთიანის ფასის დაცემა

ჰელსინგფორსი. ღვინობ. 5. დღეღამის განმავლობაში მანეთიანის ღირებულებამ 8 მარკა კიდევ დაიკლო. საღამოთი 100 მ. 112 მარკად ღირდა.

სამთამადნო კომიტეტების შუამდგომლობა.

ხარკოვი. ღვინობ. 7. სამთამადნო ქარხნების სარაიონო კომიტეტები მთავრობას სთხოვენ არაჩვეულებრივი ღონისძიებანი მიიღონ სათბობი მასალის გამოსანახად და სამთამადნო მუშების შრომის ნაყოფიერების ასაწევად.

რძე პეტროგრადის ბავშვებისათვის.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 9. წითელ ჯვრის ამერიკულმა მისიამ სთხოვა წითელ ჯვრის სამხედრო საბჭოს, რომ პეტროგრადის ბავშვებს საზამთრით შედედებული რძე მიაწოდონ. მოთხოვნილია 2 მილიონი თუნუქის ქილა შედედებული რძე. მისიის წარმომადგენლები თვითონ იზრუნებენ რძის მოწვდაზე.

უკანასკნელი დეპეშები

გერმანელთა ახალი დესანტის ალაგი ესტლანდიაშია, ქალაქ პერნოვის ჩრდილოეთით და რეველის სამხრეთით.

—

ესტლანდიაში გერმანელთა გადმოსხმა როგორც სჩანს, პეტროგრადისკენ გალაშქრებას მოასწავებს ხმელეთით.

ქრონიკა

თბილისი

◆ **საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ** მიიღო ღვინობისთვის 8—9-ს ფქვილი 16 ვაგ., სათესლე ხორბალი 7 ვაგ., ქერი 9 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგონი. ღვინობისთვის 10-ს კომიტეტს არა მოსვლია-რა.

◆ **ფართლეულობის ბითუმად გაყიდვა** კოოპერატივებზე და დაწესებულებებზე დაიწყება ხუთშაბათს, ღვინობისთვის 12-ს. წვრილ-წვრილად გაყიდვის დრო მცხოვრებლებზე გამოცხადებული იქნება ქალაქის სასურსათო გამგეობის მიერ.

◆ **ფართლეულობის ნიხრი.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ შეიმუშავა ნიხრი ფართლეულობისა. არშინი ჩითი ღირს 78 კაპ.—2 მან., მიტკალი 70 კაპ.—1 მ., სატინა 1 მან. 26 კ.—2 მან., ბიაზი 74 კაპ.—1 მან. 40 კაპ., ბამბაზია 1 მან. 04 კაპ.—1 მან. 75 კაპ.

◆ **ნ. ელიავა,** თბილისის ქალაქის მოურავი, დღეს, ღვინობისთვის 11-ს, მიემგზავრება მოსკოვში რუსეთის ქალაქთა მოურავების და ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად.

◆ **სახლის პატრონთა კავშირი.** ღვინობისთვის 8-ს მოხდა თბილისის სახლის პატრონთა კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ივ. ე. გამყრელიძე. კრებამ დაამტკიცა კავშირის წესდება და აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობაში წევრებად შედიან ყველა 12 უბნიდან თითო წარმომადგენელი.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა** საზოგადოების კრება მოხდება ხუთშაბათს, 12 ღვინობისთვეს, საღამოს 8 საათზედ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. პრივ. დოცენტი გაბრ. გ. დამბარაშვილი წაიკითხავს მოხსენებას საექიმო ტერმინოლოგიის მოწყობის შესახებ საქართველოში.

◆ **ხევსურებისა და ქისტების შეტაკება.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს ცნობა მოუვიდა, რომ ხევსურებსა და ქისტებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ხევსურები გასაჭირში არიან: ხევსურებს იცავს ქისტებისაგან 135 შეიარაღებული კაცი, საჭიროა ფიცხელი დახმარება, თორემ ხევსურეთს განადგურება მოელისო.

◆ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** თავმჯდომარედ არჩეულია ხმ. მელიქ-კარაკოზოვი (კ. დ.), თავმჯდომარის მოადგილედ კ. დ. მესხი (ეს-ერი) კომისიას ეყოლება თავისი მდივანი, რომელსაც 400 მან. დაენიშნება თვიურად.

◆ **ეპ. გიორგის** დღეს, ღვინობისთვის 11-ს, მოელიან ქუთაისიდან.

◆ **ახალი კავშირი.** შესდგა კავშირი მღებრებისა და ხელოსან მხატვრებისა.

◆ **შაქრის მონოპოლია.** როგორც სარწმუნოდ ლაპარაკობენ, მომავალი გიორგობისთვიდან შაქარს გაჰყიდის თითონ მთავრობა; შაქრის ფასი აიწევს.

◆ **მიწის გაყიდვის კანონის შესწორება.** დროებითმა მთავრობამ შემდეგი შესწორება შეიტანა 1917 წ. 12 ივლისის კანონში მიწების გასყიდვის შესახებ: „ხსენებული კანონი არ შეეხება ქალაქის გარეშე მყოფ იმ მამულებს, რომლებსაც რკინის გზა ყიდულობს“.

◆ **ქართული წარმოდგენა.** ხუთშაბათს, 12 ღვინობისთვეს, თბ. ქართ. დრ. დასის მიერ ქართულ კლუბის დარბაზში წარმოდგენილი იქნება შექსპირის კომედია: „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, მონაწილეობს მთელი დასი. რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

◆ **კოოპერატივის გაქურდვა.** ღვინობისთვის 9-ს, ღამით, გაქურდეს [illegible] „შრომის“ დუქანი. წაღებულია 2,000 მანეთის საქონელი. დუქნის დარაჯ[illegible] ვახშმად დაუპატიჟნიათ და ქურდობა ამ დროს მომხდარა. ამიტომ ჰფიქრობენ, რომ დამპატიჟებლებს წილი უდევთ ბოროტმოქმედებაში.

◆ **ურბნელი ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო დავითი** მიემგზავრება გორში, ხუთშაბათს, 12 აგვისტოს, ბათუმის მატარებლით.

◆ **ნოვოროსიისკის უნივერსიტეტი.** სახალხო განათლების მინისტრის ცნობით, ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში ათასზე მეტი ვაკანსია ყოფილა.

ჩვენი ბოლშევიკები და მენშევიკები

ამ ჟამად თბილისში სოციალ-დემოკრატების ორივე მიმართულების ყრილობებია გამართული.

ბოლშევიკების ყრილობის გახსნისთანავე—როგორც გვამცნობს გაზეთი „ბრძოლა“, კრებაზე გამოცხადდა სამი პირისაგან შემდგარი დეპუტაცია. მენშევიკების სიეზდის მიერ არჩეულ კომისიის წევრებმა დავალებისამებრ განაცხადეს: „ძლიერ საჭიროდ სცნობენ ორი მოწინააღმდეგე ფრაქციის შეერთებას და ერთად მუშაობას. მით უმეტეს, რომ ამისთვის ეხლა პირობები მეტად მომწიფებულია“—განაცხადეს მათ.

ბოლშევიკმა ს. ქავთარაძემ თავის მოხსენებაში დაახასიათა და გამოარკვია მენშევიკების „რევოლუციონერობა“ და მათი მიზანი, თუ რათ სჭირდებათ მათ შემოერთება. მათივე აღიარებით, სთქვა ორატორმა, მენშევიკები, როგორც ესერები მუშებმა სრულიად მიატოვეს, რაც მათ მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს და ეხლა ისინი ფიქრობენ ჩვენ გზათ და ხიდათ გაგვიხადონ მუშებთან დაახლოვებაში. ცხარე ტაშის ცემით იწონებენ და ღებულობენ ქავთარაძის წინადადებას, რომ მენშევიკებს უარყოფით უპასუხონ. აღსანიშნავია, რომ სიეზდზე შეერთების პრინციპის დამცველი არავინ არ აღმოჩნდა, ასე რომ დადგენილება ერთხმათ იქნა მიღებული. შაუმიანის წინადადებით დაადგინეს, რომ მოწოდებით მიმართონ ყველა ამხანაგებს, რომლებიც მენშევიკების ორგანიზაციებში შედიან, დაუყონებლივ დატოვონ მათ ასეთი ორგანიზაციები და ბოლშევიკური შეადგინონ.

სასტუმროების და რესტორანების ახალი გადასახადი

როგორც ცნობა გვქონდა დაბეჭდილი თბილისის ქალაქის გამგეობა უპირებს გადაახდევინოს სასტუმროების, რესტორანების, სასადილოების და ბუფეტების პატრონებს 278,200 მან., როგორც სტრაქტირო გადასახადი ეს ფული ასეა განაწილებული: ოთხ დიდ რესტორანს ახდევინებენ 6,000 მანეთს თითოს წლიურად.

ბუფეტებს კლუბებთან .	8—6000 მ.
„ ვოკზალში .	2—2500 „
„ თეატრებში .	6—2500 „
„ ცირკებთან .	2—1000 „

სასტუმროებს 4 (რომელთაც 230 ოთახი აქვთ) 10,000 მან. მოწყობილ ოთახებს (ნომრებს) (1343 №) 73—1000 (73,000 მან.).

ყავახანებს 41—150 მან.

სახიის (სადაც ცხელი საჭმელიც ისყიდება) 96—250 მან.

სადგომ დუქნებს 14—200 მან.

საჭმლით მოვაჭრე დუქნებს 55—150 მან.

სასადილოებს 145—300 მან.

ერთი გადასახადი კიდევ უმეტესად აძვირებს ისედაც ძლიერ მაღალ ფასებს სასმელ-საჭმელზე და სასტუმრო ოთახებზე. რასაკვირველია, სასტუმროების თუ სხვა ასეთი დაწესებულებების პატრონები თვით ვერ იზარალებენ და ამ ხარჯს მცხოვრებთა კისრიდან აიღებენ. მაგალითად, თითო სასტუმროს ოთახზე თანაბრად გაქირავებულ თუ გაუქირავებელზე დიდზე თუ პატარაზე უწევს 47 კაპ. გადასახადი დღე და ღამეში; ასეთი დიდი გადასახადი მეტად აწევს სასტუმროების ფასს. ამავე დროს, თურმე, ქალაქის კასაში სასტუმრო-სასადილოების და სხვების დაგვარი გადასახადი სრულიადაც არ შეაქვთ სხვა ვაჭრებს: მანუფაქტურის, გალანტერიული (ბაზაზებს და მეწვრილმანეებს) რკინით და სხვა დარგში მოვაჭრეებს. სასტუმროების პატრონები თხოულობენ, ვინაიდან ისინი ღვინოს ველარ ჰყიდიან გააერთონ გადასახადები სხვა

ვაჭრებთან. იმათ უსამართლოდ მიაჩნიათ, რომ ქალაქის კასაში მხოლოდ მათ შეაქვთ ფული და მოვალეობას ქალაქის დახმარებისას მხოლოდ მათ აკისრებენ.

ქალაქის გამგეობა ასეთს მოთხოვნილებაზე უარს ამბობს, რადგან ქალაქის დებულებაში ამის შესახებ შესაფერი კანონები არ არისო; თუმცა იმავე დროს ქალაქის წარმომადგენლებს უსამართლოდ მიაჩნიათ გადასახადებით მხოლოდ ვაჭართა ერთი დარგის დატვირთვა, მაგრამ რადგან დღემდე ესე ყოფილა აწიც ჯერ-ჯერობით ესე უნდა იყვესო. სასტუმრო-სასადილოების, ბუფეტების და ნომრების პატრონებს იმედი აქვთ, რომ ქალაქის საბჭო საქმეს დაწვრილებით განიხილავს და გამგეობის მიერ შემუშავებულს გადასახადს შესცვლის და შეამცირებს, მით უმეტეს, რომ ბაზარზე სანოვაგე აღარ არის, ღვინო არ იყიდება და დიდ ხარჯებს ვეღარა ჰფარავენ.

მეთვალყურე.

თბილისის ქალაქის საბჭო

ღვინობისთვის 9 სხდომა.

სხდომას ხსნის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი მერხელევი. საბჭოს მდივანი ვ. ხახანაშვილი წარსული სხდომის ჟურნალს კითხულობს. მცირე შესწორების შემდეგ ჟურნალი საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა.

ს.-რევოლუციონერების განცხადება

თარხნიშვილი. წინა სხდომაზე კამათი იყო გამართული მილიციის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ მაშინ ხმას ვუერთებდით დაშნაკცაკანებს და კადეტებს და შემდეგ კენჭის ყრის დროს თავი შევიკავეთ მონაწილეობის მიღებიდან... როგორც ჩანს, ბევრს ჩვენი მოქმედება ისე აუხსნიათ, ვითომც ჩვენ ამითი უნდობლობას ვუცხადებდეთ დემოკრატიული ქალაქის გამგეობას. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაშორებლად ს.-რევოლუციონერების პარტიის სახელით ვაცხადებთ, რომ ჩვენ უნდობლობის გამოცხადება ქალაქის გამგეობისთვის არ გვიფიქრია.

ამ განცხადებამ დაშნაკცაკანთა ფრაქციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვინაიდან ს.-რევოლუციონერები წინა სხდომაზე უნდობლობას უცხადებდნენ არა ქალაქის გამგეობას, არამედ ქალაქის მილიციას... ს-დემოკრატები ამ განცხადებას ტაშით შეხვდნენ.

შრომის ბირჟის საკითხი

აზატიანი. მალე ჯარის დემობილიზაცია უნდა მოხდეს. ამის გამო ქალაქებს და კერძოდ თბილისს აუარებელი მუშა ხელი მოაწყდება. ეს კი ბუნებრივად უმუშევრობას გამოიწვევს. ამიტომ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ქალაქის თვითმართველობის ორგანომ გახსნას შრომის ბირჟები. ისიც აღსანიშნავია, რომ თუ ქალაქის თვითმართველობის ორგანომ არ ისურვა საკუთარ ინიციატივით შრომის ბირჟის გახსნა, მაშინ მთავრობა მას მაინც გახსნის და ამ შემთხვევაშიაც ქალაქის თვითმართველობას მაინც დასჭირდება ხარჯის გაღება: ამიტომ აუცილებელია ქალაქმა თვითონ დაარსოს შრომის ბირჟები. ამასთანავე უნდა დაარსდეს შრომის ბირჟების კომისია, რომელშიაც შევლენ 5 წარმომადგენელი მუშათა კომიტეტებიდან და ხუთი წარმომადგენელი ვაჭარ-მრეწველთა წრიდან. ამ კომისიისთვის ამ წლის დამლევამდე საჭირო იქნება 9,000-დე მანეთი. საბჭომ შრომის ბირჟების პროექტი დაამტკიცა და აირჩია ამ კომისიის თავმჯდომარედ კახიანი, ხოლო მის ამხანაგად—აბდუშელიშვილი.

ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების საკითხი.

დღიურ წესრიგში აღნიშნული მოხსენება ქალაქის გამგეობის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, მილიციის მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების შესახებ და ტრამვაის საქმეების შესახებ. როგორც აღმოჩნდა ქალაქის გამგეობას ჯერ არ დაუმზადებია ეს მოხსენებები, ხოლო ტრამვაის საკითხი ისეთ საჭირბოროტო საკითხად [illegible], რომ ამ საკითხის გასარჩევად საგანგებო სხდომა დაინიშნა ღვინობისთვის 12. შემდეგი საკითხი ეხება ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების საკითხს. ქალაქის მოურავი ბ-ნი ნ. ზ. ელიავა ამ საკითხის შესახებ მოხსენებას კითხულობს. კითხულობს მოსამსახურეთა მოთხოვნილებას, სადაც უკანასკნელნი თითო მოსამსახურეზე 200 მანეთის მომატებას თხოულობენ. ქალაქის თავი საბჭოს სთხოვს, რომ ეს საკითხი საგანგებო კომისიას გადაეცეს.

ქალაქის გამგეობის არისტოკრატიზმი

ფ. მახარაძე. ჩვენი მენშევიკური ქალაქის გამგეობა მეტის მეტ არისტოკრატობას იჩენს. რა გააკეთა ამდენი ხნის განმავლობაში? უნდა წარედგინა საბჭოსთვის მოხსენება ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობაზე, არ წარმოადგინა—განაცხადა ვერ მოვასწარითო. უნდა ყოფილიყო მოხსენება მილიციის შესახებ—ვერც ეს მოასწრო. უნდა ემსჯელა დღეს ტრამვაიზე—განაცხადა მომზადებული არ ვართო და საგანგებო სხდომა დანიშნა ამისთვის. ნუ თუ ამის შემდეგ ადამიანი იფიქრებს, რომ მენშევიკები დემოკრატიას იცავენ? დიდი ხანია რაც მენშევიკები არისტოკრატებად იქცნენ და საქმის მაგიერ ქალაქის გამგეობაში კინკლაობას უნდებიან.

სალიკვიდაციო კომისია

სალიკვიდაციო საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. შემდეგ ამორჩეულ იქნა ზემოხსენებული კომისია. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბროდსკი, მის თანაშემწეთ—თარხნიშვილი. კომისიის წევრებად ნ. ჟორდანია, ხაჩატუროვი და თოდრია.

ლოტოს თამაშის შესახებ.

ქალაქის მოურავი ნ. ელიავა კითხულობს კლუბის მოსამსახურეთა წინადადებას, რათა ნებადართულ იქმნას დღეიდან ლოტო-ბანქოს თამაში კლუბებში. ამასთანავე წინადადებაში აღნიშნულია, რომ წმიდა მოგების ნაწილი გადადებული იქმნება საქველმოქმედო მიზნისთვის. ყველა ფრაქციებს საჭიროდ მიაჩნიათ და ქალაქისთვის სასარგებლოდ რომ კლუბებს არ მიეცეთ ნება ლოტოს თამაშისა. საბჭომ დაადგინა, აკრძალვა კვლავ ძალაში დარჩესო.

ქართული ეკლესიის საკითხი

ქალაქის საბჭო ქართული ეკლესიის საკითხზე გადადის. ეს საკითხი დარბაზში მეტის-მეტ ინტერესს ჰბადებს. თხოულობენ, საკითხი იგი კვლავ გადადებულ იქნას ხელმეორედ შემდეგ სხდომაზე გასარჩევად.

შ. მესხიშვილი. ამ საკითხის გადადება ხელახლად შეუძლებელია. დღეს თბილისის საბჭომ აშკარად და გაბედულად გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება ამ საკითხთან. თუ მართლა ეს საკითხი ეხება საბჭოს, მაშინ დღესვე ვიმსჯელოთ მაზე, ყოველივე გადადება მხოლოდ საქმეს აჭიანურებს და თუ ქართული ეკლესიის საკითხი არ ეხება საბჭოს, მაშინ გადადება კი არ არის საჭირო, არამედ ზედმეტი საკითხის სრული თავიდან მოშორება. მე ვიძლევი წინადადებას: ქართული ეკლესიის საკითხი ან დღეს, ამ სხდომაზე გაირჩეს, ანდა სრულებით მოიხსნას.

ნ. ჟორდანია. ქართული ეკლესიის საკითხი არ შეეხება ქალაქის საბჭოს, ამიტომ საკითხი უნდა მოიხსნას.

ბ-ნ ნოე ჟორდანიას ასეთნაირი განცხადება ბევრს აკვირვებს.

ყველასათვის გაუგებარი და გამოუცნობელია, თუ რატომ იცვლის მენშევიკმა ფრონტი, თუ რატომ დასტოვეს უბრძოლველად ის სუსტი პოზიციები, რომელთაც ისინი 18 ენკენისთვის სხდომაზე დიდი სისასტიკით იცავდნენ.

18 ენკენისთვის სხდომაზე ყველა ფრაქციები (გარდა მენშევიკებისა) ამბობდნენ, რომ ქართული ეკლესიის საკითხი ქალაქის საბჭოს არ შეეხებაო. დღეს, როდესაც მენშევიკებმა უკან დაიხიეს და თავიანთი წინანდელი შეხედულებანი უკანვე წაიღეს, ქართულ ეკლესიის საკითხი საბჭომ ერთხმად მოხსნა.

გრ. ვეშაპელი. მენშევიკების საკითხი მოსახსნელია, მაგრამ დეე ქალაქის საბჭო მიესალმოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, ისევე პირდაპირათ და უპირობოთ როგორც მიესალმა თბილისის ქალაქის თავი ნ. ელიავა სომეხთა ეროვნულ ყრილობას ისიც ქალაქის საბჭოს დაუკითხავად!

ქალაქის საბჭომ უარჰყო გ. ვეშაპელის წინადადება, მენშევიკებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა.

ტრაქტირებზე ახალი გადასახადის დადება

ხმირნოვი. დიდ მოხსენებას კითხულობს ამ საკითხზე და საჭიროდ სცნობს, რომ ტრაქტირებზე ახალი გადასახადი იქნას დაწესებული. მაგალითად რესტორანებზე დაწესდეს 6000 მანეთი, სასტუმროებზე 10000 მან. ვოგზლის ბუფეტებზე 2500 მან. სახაჩოებზე 250 მან. და სხვ. ახალი გადასახადი არავის არ აკმაყოფილებს. მენშევიკები თხოულობენ, რომ გადასახადი გაორებულ იქნას, ხოლო ფ. მახარაძე თხოულობს, რომ გადასახადი გასამებულ იქნას. ეს საკითხი კომისიას გადაეცა.

მოსკოვის ქალაქთა წარმომადგენელთა ყრილობა

ქალაქის თავი აცხადებს, რომ ღვინობისთვის შუაში მოსკოვში შესდგება რუსეთის ქალაქთა წარმომადგენელთა არჩევნები. ასარჩევია სამი კაცი. საბჭომ აირჩია: ნ. ჟორდანია, ნ. ელიავა და ხონთქარიანი.

ამ არჩევნებით დამთავრდა ეს სხდომა. შემდეგი სხდომა, რომელზედაც ტრამვაის საკითხი იქნება გარჩეული, დანიშნულია ღვინობისთვის 12-ს.

შ. ხაირხელი.

ქართველთა და მაჰმადიანთა ურთიერთობა

ძნელია, მეტად ძნელი, როდესაც რომელიმე ერი ჰკარგავს თავისუფლებას და სხვისი მონა ხდება. ზედმეტად მისი მდგომარეობა უარესდება მაშინ, თუ მისი დამმონებელი მამობის მაგიერ დამონებულს მამინაცვლობას უწევს. ზოგიერთი დამმონებელი მის ხელში ნებსით თუ უნებლიეთ მომწყვდეულთ სხვა და სხვა ეროვნებათ განგებ უსისინებენ ერთმანეთს, რომ მათი ურთიერთშორის უკმაყოფილებით თვითონ ისარგებლოს და მათ ზურგზედ თამამად იბატონოს!.. სწორედ ამაზე უნდა იყოს ნათქვამი რომაული ანდაზა: „განთიშე და იბატონე“-ო. და განა ამას არ ჩადიოდა აწ უკვე დამხობილი მთავრობა კავკასიის მოსახლე სხვადასხვა ეროვნებათა შორის, რომლის მწარე ნაყოფიც სამწუხარო მოსაგონებლად და გვრჩება?!. აი, ამისათვისაა სწორედ, რომ მეტად გაგვახარა მაღალი კავკასიონის ქედის ძირიდგან ჩვენამდის მოღწეულმა ამბავმა ქართველთა და ჩვენი უახლოვესი მეზობლების, ლეკების შორის ძმობა-ერთობის და კეთილმეზობლური განწყობილების დამყარების შესახებ, უნდა ვიიმედოთ, რომ ჩვენ და მეზობელ ლეკებს ასეთი დამოკიდებულება ბედნიერებისაკენ და კეთილდღეობისაკენ წაგვიყვანს. და განა დიდი ხანია, რაც რუსეთის მთავრობამ, საქართველოს მსგავსად ლეკებსაც მოუსპო თავისუფლება დ მათი ლაღი და თამამი მთავარი, შამილი, თავისი ოჯახობით, ქართველთა მეფეთა და მეფისწულთა მსგავსად სადღაც შორეულ ჯურღმულებში ამოახრჩო?. ახლა კი საქართველოსთან ერთად ამ ჩვენს ძვირფასს მეზობელსაც, ე. ი. დაღესტნის ლეკებსაც უნდა დაუდგეს განთიადის ჟამი და თავისუფლების მოპოვებით ჩვენთან ერთად უნდა განიხარონ... და სწორედ რომ დროულად ჩასათვლელია ქართველთა და ლეკთა ურთიერთშორის დაახლოვება და ძმური კავშირი.

ახლა მხოლოდ ის და დაგვრჩენია, რომ ეს კავშირი—დაახლოვება ჩვენის მხრის უფრო გავაძლიეროთ ურთიერთ შორის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გავრცელებით, ამისთვის კი ფრიად საჭიროა, რომ ამ მხარეს ახლავე მიექცეს დიდი ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, ლეკთა მოზარდ თაობის ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა სწავლა აღზრდას ფართეთ უნდა გაუღოთ კარები ჩვენს საშუალო სასწავლებლებში. ჩვენს სასწავლებლებში შემოვიღოთ ლეკური ენის სწავლება, ხოლო ლეკებს შევასწავლოთ ქართული ენა, რაიცა მეტად გაგვიადვილებს ურთიერთ შორის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დაახლოვებას. ახლავე გამოკვლეულ უნდა იქნას, თუ მეურნეობის რომელი დარგი მისცემს ლეკებს მეტს სარგებლობას და ამ დარგის განვითარებას ახლავე უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რომ ლეკეთი ეკონომიურად მოღონიერდეს და სიღარიბეს თავი დააღწიოს, რაიც ერთ უმთავრეს საშუალებათაგანი იქნება ძარცვა-გლეჯის მოსპობისა ამ მხარეში. გაყვანილ უნდა იქმნას შარა გზები მაინც, რომ ურთი-ერთ შორის მისვლა-მოსვლის გარდა, გაგვიადვილდეს უსაჭიროესი საგნების ერთმანეთის მხარეებში გადატანა-გადმოტანა.

ყოველივე ზემოთ მოხსენებულის შესრულება საშუალებას მოგვცემს ამ ორი ერის კვლავ გაერთიანებისას პოლიტიკურ-ეკონომიურსას და შეერთებული ძალით ადვილად შეგვეძლება დავსძლიოთ ის დაბრკოლებანი, რომლებიც ჩვენს სანეტარო კეთილ სურვილებს წინ გადაეღობებიან... მაშ გაუმარჯოს ჩვენს ერთობას! გულითა და სულით ვისურვებთ, რომ კავკასიის ყველა ერთა შორის მომხდარიყოს ამნაირი სასიამოვნო კავშირი, რათა სულ უბრალო წვრილმან საკითხების გარჩევას არ შეეშალოს ხელი ურთი-ერთ შორის ძმობა ერთობის დამყარებაში.

ვლადიმერ მაჭარაშვილი.

ქუთაისის დარბევის გამო

ქუთაისში არაჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა. ეს დარბევა დიდ შავს ლაქად დაესმება ქუთაისის სახელსა და მის საზოგადოებრივ ცხოვრებას. პირველხარისხოვანი დარბევა მოხდა იმ ქალაქში, რომელიც განთქმული იყო თავისი რევოლუციონური სულით, რომლის შესახებაც უკვდავმა ტოლსტოიმ სთქვა, რომ მხოლოდ აქ აღმოხეთქა ჭეშმარიტებამ და სწორედ აქ ამოანათა პირველად რუსეთის თავისუფლების მზემაო. სწორედ აქ მოხდა ის, რასაც აქამდე მხოლოდ რუსეთის ყრუ მივარდნილ გუბერნიებში ჰქონდა ადგილი. მართალია, დღევანდელი ქუთაისი ის აღარ არის, რაც იყო წინად: აქაური სწორედ ნამდვილ რევოლუციურად განწყობილი და შეგნებული ერთი ნაწილი სრულიადაა განშორებული სამშობლო ქალაქს და, ვინც მათგანი გადარჩა ციმბირს, ეხლა რუსეთის დემოკრატიას ჰმართავს და რაზმავს, ხოლო ნაწილი ომშია წასული, მაგრამ იმდენად გათვითცნობიერებულია ხალხი, რომ არ შეგვიძლია მათ დავწამოთ, ვითომ შეუგნებლობის გამო მას შეუძლია უწესოების მოხდენა. ადგილობრივი გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ ამტკიცებს, რომ უწესოება რუსებთან ერთად ქართველებმაც დაიწყესო. ჩვენ სრულიად არ გვინდა იმის თქმა, ვითომც ქართველი ჯარის კაცები ცათამდე სწორეა, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ უწესოების მეთაურნი სწორედ ის რუსი ჯარისკაცები იყვნენ, რომლებმაც დიქტატურა და ქ. ცარიცინი რესპუბლიკად გამოაცხადეს. ქუთაისში ჩამოიყვანეს რუსეთის მივარდნილ გუბერნიების ბნელი გლეხი-ჯარისკაცები, რომლებიც სცდილობენ ჯავრი იყარონ მშვიდობიან მცხოვრებლებზე, რადგანაც ისინი, ჯარისკაცები ძალით მოაშორეს თავის სახლ-კარს და მიწებს. ისინი იმით არიან გამწარებულნი, რომ მაშინ, როდესაც ზოგი ქონება იხრდება სახლში, სხვები განაგრძობენ ნორმალ ცხოვრებას და ქონების შეძენას.

ხშირად გამიგია ჯარისკაცისაგან: ყველანი უნდა წავიყვანოთ პოზიციებზე: მოწაფეები, სტუდენტები, მოხელენი, ვაჭრები, ნოქრები და სხვანი, თუ არა და ფეხსაც არ მოვიცვლით აქედანაო. როგორც მკითხველი ჰხედავს, ასეთი სურვილი მხოლოდ უგუნურობის ან შეუგნებლობის შედეგი უნდა იყოს, რადგან შეუძლებელია განურჩევლად ყველას მოუსვან ხელი და ომში გარეკონ. ცხადია, თუ სურვილია უგუნური, მოქმედებაც მისი სრულიად იქმნება მოკლებული გონიერებას, უკეთუ მისი სურვილი არ შესრულდა. ჯარი მოიღალა, მას იმდენი სულის სიმტკიცე არ შესწევს, რომ აიტანოს ომის დუხჭირი პირობები და აკი სწორედ მაშინ დაიწყეს ქალაქების რბევა-ძარცვა. როცა სასტიკი ზომები მიიღეს დეზერტირებისა და გამოქცეულთა წინააღმდეგ. მით უმეტეს, შეშფოთებულია შეუგნებელ ჯარისკაცის გონება, როდესაც ის უცხოთა შორის არის და სწორედ იმ ვაჭრებად, მოწაფეებად და ნოქრებად უცხოელებს ჰხედავს, ხშირი ყოფილა ქუთაისში ასეთი შემთხვევა: სდგას რუსის ჯარის კაცი—შეუგნებელი გლეხი და მეორე უფრო შეგნებულ რუსსავე ჯარის-კაცს არწმუნებს, ყველანი უნდა წამოვიყვანოთ, ჩვენ მათთვის სისხლსა ვღვრით, ოსმალებისგან ვიცავთ და ეგენი კი, ქართველები, ყველანი აქ არიან სახლშიო. აქ გვეტყვიან, რომ სწორედ ქართველი ჯარის კაცებიც ასევე გაიძახიანო: სრული ჭეშმარიტებაა. სწორედ ასეც უნდა იყოს, რადგანაც მიზეზი უწესოებისადმი მიდრეკილებისა, როგორც ზევით განვმარტეთ, საერთოა მთელი რუსეთის მხედრობისათვის. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ თუ მიზეზი ჯარის ასეთი საქციელისა საერთოა, სამაგიეროდ შეიძლება პრივატულ საშუალებებით შევასუსტოდ ასეთი მიდრეკილება ჯარისა. და სწორედ ამიტომ მართალნი არიან ისინი, ვისაც ჯარის ნაციონალიზაცია პირველ საშუალებათა აქვს მიჩნეული.

ჯერ ერთი, რომ რუსის ჯარის კაცები, რუსეთიდან ჩამოსულები უფრო გამოცდილი და გაბედულები არიან დარბევებში და, ამას გარდა, სახელმწიფოს უფროსი ერის შვილები ისე ვერ აიტანენ ომის სიმძიმეს, როგორც ამას იზამს ტანჯვასა და დევნას მიჩვეული დაჩაგრული ერის შვილები; მით უმეტეს ნაკლებად არის მოსალოდნელი რბევის ინიციატივა ქართველისაგან, რომ ქართული მასსა უფრო გათვითცნობიერებული და რევოლუციონურ შეგნებითაა აღჭურვილი, ამას არც თვით რუსები უარყოფენ.

მხედველობაში მისაღებია კიდევ ის, რომ ქართველ ჯარის კაცებზე ქართველი საზოგადოება უფრო მოახდენს გავლენას და შეაგნებინებს, ვიდრე სხვა. გარდა ამისა, ქართველი ჯარის კაცი ვერ შესძლებს სთქვას რუსის ჯარის კაცსავით, რომ ის სამშობლოს მოწყვეტილია და სხვა.

ჭეშმარიტად, ჯარების ნაციონალიზაცია არის ერთი იმ მთავარ საშუალებათაგანი, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენ საქართველოში რევოლუციონურ წესიერების და სიწყნარის დაცვაში.

ზ. ბ—შვილი.

კორესპონდენცია

სიღნაღიდან.

ამ რამდენიმე დღის წინად სიღნაღის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე კრანაშვილმა განუცხადა კრებას, რომ სიღნაღის კომიტეტს სამი დღის ფქვილი და მოეპოვება, ამისთვის ყველამ თითონ უნდა იზრუნოს თავის თავისთვის და როგორც უნდა და სადაც უნდა იშოვოს თავის გამოსაკვებები სარჩოო. ყველას პირს კეტა ეცა და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ეს რა მოხდაო?—მკათათვეში, როდესაც აქეთ იქიდან გვეუბნებოდნენ წაიღეთ პური კოდი სამ თუმნად და ოცდა ხუთ მანეთად, გვიკრძალავდნენ, არავინ გაბედოს ყიდვა, რადგანაც, სულ ერთია, შემოტანის ნებას არ მოგცემთო, და ეხლა, როდესაც ექვსი-შვიდი თუმანი გახდა და შოვნაც აღარსად არის გვეუბნებიან, თქვენ თითონ მოუარეთ თქვენს თავსაო!

მართლადაც და საკვირველია: როდესაც შოვნა რისამე შეიძლებოდა, არავის არ მისცეს ნება რომ შემოეტანათ რამე, ბევრს პური და ფქვილი წაართვეს, ყველი და ერბო სრულებით არ შემოუშვეს და ვინც მოიტანა წაართვეს და გაჰყიდეს თითონ კომიტეტის წევრებმა ყველი ექვს აბაზობაზე და ერბო 2 მ. 40 კ., რის შედეგიც ის არის, რომ აგერ ორი თვე იქნება აღარც ყველი შემოდის და აღარც ერბო. თუ ვისმე ყველი მოეპოვება, ვითომ შინაურულად და მეგობრულად, ორ მანათად ჰყიდის. (ისიც ყველას კი არ გამოუჩენს) ხოლო ერბო 4—5 მანეთია. განა ეს იმითი აიხსნება, რომ ქიზიყში აღარ მოიპოვებოდეს ყველი და ერბოთი სრულებითაც არა. ყველიც არის და ერბოც, მაგრამ აღარ შემოიტანეს, რადგანაც ეშინიანთ რომ წაართმევენ. შაქარიც აგერ ერთი თვეა აღარ არის და მთელ ენკენისთვეში მიუხალი აღარ მიგვიღია.

გუშინ ერთმა ლეკმა შემომჩივლა: ჩემმა ამხანაგმა ორი ფუთი კარაქი მოიტანა, სიღნაღის სასურსათო კომისიამ წაართვა და გირვანქა 2 მანეთობაზე გაჰყიდაო. ამას გარდა ოთხმა ამხანაგებმა, სახელდობრ: ალი რამაზან ოღლიმ, ყურბან ისა ოღლიმ, აჯი მუსა დაუდ ოღლიმ და სულეიმან ჰუსა ოღლიმ ერთი ფუთი და 10 გირვანქა საპონი იყიდეს სიღნაღში, მაგრამ მილიციონერებმა წაართვეს და თუმცა აჩვენეს მოვაჭრე, ვისგანაც იყიდეს, მაგრამ საპონი ლეკებს აღარ დაანებეს, ამათ მხოლოდ ფული დაუბრუნეს და გამოისტუმრეს ცარიელებიო.

— რუსულის მადლმა ერთ კვირაზე აქ მოგიტანდით ათას ფუთობით ქერს, სიმინდს, ერბოს, კარაქს, ბრინჯს, რომელიც ამ რამდენსამე დღეში მზად იქნება, მაგრამ ამისთანა ამბების მნახვემა როგორღა მოვიტანო? აღელვებული ამბობდა ლეკი.—თუკი აქედან ერთ ფუთს საპონს არ გვაძლევენ, ჩვენ რაღათ შემოვიტანოთ რამეო.

— თავისუფლად შემოტან-გატანა რომ შეგვეძლოს საქონლისა და ასეთი საშიში მდგომარეობა არ იყოს, ის არ გვერჩივნა სიღნაღის მაზრაში, ჩვენი ქართველი ძმებისთვის მოგვეტანა ყველაფერი რაც მეტი სარჩო საბადებელი გვაქვს, ვიდრე ტფილისში გვეტარებინა, მაგრამ რა ვქნათ, რომ ასე შეგვკრეს ხელ-ფეხი—სთქვა მეორე ლეკმა.

— აი ამას, მიმითითა მესამე ლეკზედ (აჯი მამედ ემინ ოღლიმ) სამი ათასი მანეთის ვაშლი აქვს, მაგრამ აქ [illegible] ტფილისში წაღებისო. [illegible] მდგომარეობა და არ ვიცით რა გველის მომავალში. პური თითქმის არავის თავისი არა აქვს, და თუ ადრე გამოცხვა გასაყიდი, მართალია რომ სიმშილით ამოწყვეტა მოგველის სიღნაღელებს. ჯერ აქამდის, ვიდრე გამოცხვარი პური წინანდებით რიგდებოდა, ბევრი ენახე თვალ ცრემლიანი, რომ დღეს პური აღარ მომცეს, მითხრეს, გვიან მოხველ და გათავდაო და ამას იქით, როდესაც სულ აღარ გამოცხვება სასურსათო კომიტეტისაგან, რაღა სიკეთეს უნდა ველოდეთ?

თვალზე ცრემლის მომგვრელია აგრეთვე ის სურათი, რომელსაც წარმოადგენენ კუდები საბაზაზო სავაჭროებთან. ხალხი ათასობით გროვდება და ამათ შფოთსა და ყვირილ-ხივილს საზღვარი არა აქვს, რადგანაც თითო მაღაზიას აძლევენ მარტო, არ ვიცი რა მოსაზრებით. მომეტებული ნაწილი დედაკაცები და პატარა ქალები მშიერ მწყურვალნი ელოდებიან საღამომდის და უცდიან, როდის ეღირსებიან შევიდნენ მაღაზიაში და იყიდონ რამე. ერთი ერთმანეთში ჩხუბი, ხელის კვრა და თმების გლეჯაც უხდებათ. ამ გვარი ძიძგილი 2-ს ოქტომბერს მოუყვიდათ ერთ მანდილოსანს და ერთ 12—13 წლის ქალს, რომელიც გაკაპასებული რამდენჯერმე ეცა მანდილოსანს და გულმუცელში მუშტებსა სცემდა.

სასაცილო ამბავი მოხდა ამ რამდენიმე დღის წინად კელმეჩურზე: ადგილობრივ კომისარ კობახიძესთან მივიდა ერთი მეჩექმე გარსიმაშვილი, რომელსაც გამოცვლილ და მეტ სახელს „რაჟაბას“ ეძახიან და დაუწყო ყვედრება: კაცო რო იძახოდი პურს და ფქვილს ნუ იყიდით, კომიტეტები მოვიტანთ, აბა სად არის, რატომ არ მოგაქვთ, რომ ხალხი გაჭირებაშია და არსაიდან აღარ შემოდის პურიო“.—როცა 5—6 მან. იყო არ გვაყიდინეთ და ეხლა რაღა ვქნათო.

— რა გიყოთ არ შემოვიდა, ვეღარ მოვიტანეთ და სადაც გინდათ იშოვეთო, უპასუხა კომისარმა.

მაშ რა ვქნათ, პური თუ არ შემოვიდა ე ფული რომ ბევრიცა გვქონდეს გაგვაძღობსო, უთხრა რაჟაბამ, აი თუ გამაძღობსო, სთქვა მან, და ამ სიტყვებთან დასრისა ოცდა ხუთმანეთიანი და გადაყლაპა.

ბევრს ეგონა პირში დამალაო, მისცვივდნენ, დააღებინეს პირი და ხახაში ჩააცქერდნენ, მაგრამ ოცდა ხუთ მანეთიანის კვალი ვეღარ იპოვეს, რაჟაბას იგი მართლა გადაეყლაპა.

ასეთია დღეს ჩვენი მდგომარეობა და არ ვიცით მომავალი რას ვიქნებით.

ვინ-ქან.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

კალენდარი

ოთხშაბათი ღვინობისთვე.

11

ქართვ. წმ. მოციქულისა ფილიპესი, ერთისა შვიდთა დიაკონთაგანისა; ღირსისა მამისა ჩვენისა თეოფანე აღმსარებელისა ნიკიის ეპისკოპ.

კათოლ. ქალწ. ზინაიდისა.

მაჰმად. ჩ'ჰარ-შამბე 8 რ. მუჰარამ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომრევიი 8 რ. ხეშვან 5678 წ. ქვ. შექმ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ტფილისისა)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	სწრ.	№ 5,	11.32	დღ.
„	სამგზ.	№ 9,	11.28	ღამ.
ბორჯომისაკენ	სამგზ.	№ 19,	8. 17	დღ.
„	„	№ 17,	8.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.51	დღ.
„	სწრ.	№ 4,	8.46	ღამ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 8,	12.15	ღამ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	8.08	დღ.
„	სწრ.	№ 4,	7.41	ღამ.
ბ. წ.-ბორჯომ.	სამგზ.	№ 20,	7.57	დღ.
„	სამგზ.	№ 18,	9.50	ღამ.
ბაქოდან	სწრ.	№ 8,	10.26	დღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.20	ღამ.
ყარს-ჯულფა	სწრ.	№ [illegible],	7.58	დღ.

სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა გამრეკელის შესახვევი № 4;

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“